1930

№1



რ
ე
მ
ე
დ
ა
ს
ი
ს
მ
ე
გ
ო
ბ
რ
ე
ბ
ი

ლაპარაკობს ტფილისი!...

* *
*

ამჟამად ქ. ტფილისსა და მის ოლქში გაცხოველებით მიმდინარეობს ხელისმოწერა ჟურნალ „რემედას"-ზე.

1930 წ. იანვრის პირველისათვის ჩვენს ჟურნალს ქ. ტფილისსა და მის ოლქში ჰყავს 5000 წლიური ხელის მომწერი, რაც უნდა ჩაითვალოს რემედასის აქტივის უდიდეს გამარჯვებათ.

სიტყვა ეკუთვნის რემედასის ყველა საოლქო, სამაზრო და რაიონულ კომიტეტებს.

ჟურნალ „რემედას"-ის ტირაჟი 1930 წ. უნდა ავიდეს 10000. რემედასის ყველა უჯრედი, ყოველი აქტიური წევრი — ვალდებულია გამოიწეროს ჩვენი ჟურნალი, გაავრცელოს ის მშრომელთა მასაში და ამით ხელი შეუწყოს უცხოეთისა და ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის ერთსულოვნების განმტკიცებას.

* *
*

ჟურნალ რემედასის რედაქცია აქვე აცხადებს ყველა საოლქო, სამაზრო, რაიონულ კომიტეტებისა და რემედასის წევრთა საყურადღებოთ, რომ 1930 წ. განმავლობაში ჟურნალის განსაზღვრული ტირაჟის გამოცემის გამო, ჟურნალი გადაეგზავნება მხოლოდ ხელის მომწერლებს, რომლებიც წინდაწინ გადაიხდიან მის ღირებულებას.

ჟურნალის გამოწერასთან დაკავშირებული ყოველგვარი ცნობები გადმოგზავნილი უნდა იქნეს რედაქციაში ყოველი თვის 10 — 15-მდე.

მისამართი: ტფილისი, კომინტერნის ქ. № 5. რემედასის გამომცემლობას.

ჩვენი ჟურნალის მეგობრები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს რემედასზე ხელის მოწერის ჩატარებას. მაღლიდან ქვემოთ: 1. **ა. ყიფიანი**, 2. **პ. ზაგაროვსკი** 3. **ვ. მეგრელიშვილი**, 4. **კ. ლუტიძე** 5. **შ. ჩხაიძე**, 6. **გ. ჩოჩუა**, 7. **მ. წინამძღვარიშვილი** და 8. **ნანიკაშვილი**.

წელიწადი მეშვიდე

363(...)/(05)
ს43

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

რემედა

№ 1
იანვარი
1930

რემედასის საქართველოს ცენტრალურ და ტფილისის
საოლქო კომიტეტების ყოველთვიური ორგანო

რედაქციის მისამართი:
ტფილისი, კომინტერ-
ნის ქ. №5, II-რე სართ.

∞ ტელ. 17 42. ∞

დათვალიერების ამოცანები

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან ეხლა მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით მიმდინარეობს რემედასის ორგანიზაციების დათვალიერება.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენს მუშაობას ბევრი ნაკლი ახასიათებს. უწინარეს ყოვლისა ძირითად ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მშრომელი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ჯერ კიდევ რემედასის რიგების გარეშე სდგას. ნელი ტემპით მიმდინარეობს აქტივთა კადრების მომზადება, მათი ჩამოყალიბება; სოფლად მუშაობისა და მასების ინტერნაციონალურად აღზრდის საქმე არ არის რიგიანად მოგვარებული.

ამიტომ ჩვენს გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს კიდევ უფრო მეტად დავრაზმოთ საბჭოთა საზოგადოებრიობა რემედასის რიგების ირგვლივ. მართალია რემედასი საკმაო პოპულიარობით სარგებლობს მშრომელთა მასაში, მაგრამ ეს როდი გვაძლევს იმის საბაბს, რომ ყველაფერი თავის რიგზე წარმოვიდგინოთ და ყველა მტკივნეული ამოცანები მოგვარებულად მივიჩნიოთ.

რემედასის შესახებ პროფკავშირების, პარტიულ და კომკავშირული ორგანოების მიერ გამოტანილი დადგენილების თანახმად უნდა შეუდგეთ რემედასის რიგებში დღემდის ჩატარებულ მუშაობის გამოკვლევას. მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობის ყურადღება უნდა მივაპყრათ რემედასის ამოცანებს, რათა კაპიტალის პატიმართა მატერიალური და მორალური დახმარების საქმე მკვიდრ ნიადაგზე იქნეს დაყენებული ჩვენში.

დათვალიერების პროცესში აუცილებლათ გამორკვეული უნდა იქნეს ძირითადი ორგანიზაცია — უჯრედების მუშაობა. ყოველმხრივად გაშუქებული უნდა იქნეს, თუ რა დონეზე სდგას, და რას წარმოადგენს რემედასის უჯრედის მუშაობა ყოველდღიურად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს: საშეფო და მასიურ აღმზრდელობითი მუშაობას, საწევრო ანარიცხების აკრების სისწორით ჩატარებას, საზოგადოებრივი კონტროლისა და სარევიზიო კომისიების საქმიანობას.

რემედასის მასიური მუშაობას უაღრესი მნიშვნელობა ენიჭება. მასიური მუშაობის სწორად დაყენებაზეა დამოკიდებული ორგანიზაციის წევრთა რაოდენობის გაძლიერება, აქტივთა ახალი კადრების ჩამოყალიბება და მათი აღზრდა. ამიტომ ჩვენ უწინარეს ყოვლისა სწორეთ ამ მასიური მუშაობით უნდა ვიყოთ დაინტერესებულნი. ჩვენ ყოველმხრივად ხელი უნდა შეუწყოთ ამ მუშაობის გამოცოცხლებას და მის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას.

ჩვენთვის საინტერესოა აგრეთვე გამოვარკვიოთ თუ რა პრაქტიკულ მონაწილეობას ღებულობს რემედასი სოციაციალისტურ აღმშენებლობაში. ამ მხრივ ჩვენ გვაქვს რიგი მიღწევებისა, მაგრამ ჩვენ ამის შესახებ არა გვაქვს ნათელი წარმოდგენა. საჭიროა ეს მონაწილეობა გამორკვეული იქნეს, აღვნუსხოთ მისი დადებითი შედეგები და ის თვალსაჩინოდ გავხადოთ რემედასის მასისათვის.

დათვალიერების პროცესში ჩვენს წინაშე მთელი თავისი სიგრძე-სიგანით წამოჭრილია რემედასის რიგების გაძლიერების საკითხი არ შეიძლება ითქვას რომ უკანასკნელ წლების განმავლობაში ადგილი არ ჰქონოდეს წევრთა რაოდენობის გაძლიერებას, მაგრამ ეს ისე ნელი ტემპით სწარმოებდა, რომ მასზე არ ღირს ყურადღების შეჩერება. დათვალიერებამ ერთხელ და სამუდამოთ საზღვარი უნდა დაუდვას ასე კუს ნაბიჯით სიარულს და რემედასის რიგებში უნდა დარაზმოს მუშების, გლეხების, მუშა და გლეხი ქალებისა და მშრომელი ახალგაზრდობის დიდი უმრავლესობა. რემედასის რიგებში უნდა დაირაზმოს აგრეთვე ულარიბესი გლეხები და მოჯამაგირეები. აი, რემედასის დათვალიერების ძირითადი ამოცანები.

რემედასის დათვალიერების ნაყოფიერად ჩატარებაში მთელი 100%-ით უნდა ჩავაბათ, როგორც თვით რემედასის წევრთა ისე მშრომელი მასა. მასების მონაწილეობა დათვალიერებაში, აი ყველაზე მთავარი, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენს გამარჯვებას ამ მიმართულებით.

დათვალიერების დროს მთელი ჩვენი მუშაობა გამოგვაქვს მასების სამსჯავროს წინაშე. ეს კი მეტად საპასუხისმგებლო ნაბიჯია, ამიტომ რემედასის ყველა კომიტეტები და უჯრედები ვალდებულნი არიან ფხიზლათ მოეპყრან მას.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ამ დათვალიერების გამოყენებას შეეცდებიან კლასობრივათ მტრულად განწყობილი ფენები. ისინი შეეცდებიან აგრეთვე ჩვენი აქტივის ავტორიტეტის დაცემას მასის თვალში რემედასის უჯრედთა მუშაობის შესაფერხებლათ. ჩვენ უნდა დავიხსომოთ ეს და არავითარ შემთხვევაში არ მივსცეთ მათ ამისი საშუალება. როცა ჩვენ ვიყენებთ ძირითად ორგანიზაციების გა-

644

დაშინჯვისა და თვითკრიტიკის ლოზუნგებს უნდა გვახსოვდეს, რომ ამით შეუძლია იხელმძღვანელონ მხოლოდ ისევ ჩვენს უჯრედებს, წევრთა მასას და აქტივთა კადრებს, რომლებიც უშუალოდ ჩაბმულნი არიან რემედასის ყოველდღიურ მუშაობაში და აინტერესებთ მისი ნაყოფიერი შედეგები.

მართალია ჩვენ ორგანიზაციულად იმდენად მტკიცე ვართ, რომ შეგვიძლია თამამად უკუვაქციოთ შემომტევი, მტრულად განწყობილთა ფენები, ჩვენ შევძლებთ აგრეთვე შევინარჩუნოთ კლასიური ხაზის სისწორე, არ გავამრუდოთ ის, მაგრამ ამავე დროს ჩვენ უნდა შევეცადოთ, რათა ისეთი სერიოზული პოლიტიკური მუშაობა, როგორიცაა ჩვენი რიგების დათვალიერება სათანადოთ უზრუნველვყოთ პროლეტარულ ხელმძღვანელობით. ეს მუშაობა ჩატარებული უნდა იქნეს იმგვარად, რომ საწარმოო სექტორი პირველ რიგებში მიემართებოდეს ამ მიმართულებით, დათვალიერებამ ხელი უნდა შეუწყოს ხელმძღვანელ ორგანოებში მწარმოებულ მუშების დაწინაურებას.

ჩვენ უნდა შევეცადოთ აგრეთვე მიღწეული შედეგების საბოლოო განმტკიცებასა და შენარჩუნებას ჩვენი მომავალი მუშაობის მტკიცე საფუძველზე დასაყენებლად.

ყველა ადგილობრივი ორგანიზაციების, მთელი ჩვენი აქტივის ენერგიულმა მუშაობამ უნდა უზრუნველჰყოს რემედასის რიგების დათვალიერების ჯეროვნად ჩატარება, რათა ამრიგად მიღწეული იქნეს ახალი გამარჯვებები.

რემედასის რიგების დათვალიერების ირგვლივ უნდა დაირაზმოს მთელი ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრიობა და რემედასის მასა. აი, ჩვენი სადღეისო ლოზუნგები.

ჩ ი ნ ე თ ი დ ღ ე ს

ჩინეთი დღეს წარმოადგენს — ჰაოსს, ომის, სიმშილისა და ძარცვა-გლეჯის სარბიელს. ერთის შეხედვით თითქოს „გაერთიანებული“ ბურჟუაზიული ჩინეთი ისევ დაქუცმაცდა, პატარ-პატარა ფეოდალურ ერთეულებათ. ჩინეთის ბურჟუაზია და მისი დამხმარე ჩრდილოეთ ამერიკას შერთებული შტატები, რომლებიც ოცნებობდენ ბურჟუაზიულ ჩინეთის გართიანებაზე. სასტიკად მოსტყუვდენ.

ერთის მხრივ განუწყვეტელი შინაური ომები, ძარცვა-გლეჯა მანჯურიაში, აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის დაპყრობა. მეორეს მხრივ სამხრეთის ნაწილში გაძლიერებული რევოლიუციონური მოძრაობა რამდენიმე თვეების განმავლობაში საშინელ პირობებს ჰქმნის მთელ მხარეში.

მრავალმილიონიანი ჩინეთი შეარყია საერთაშორისო მნიშვნელობის მოძრაობამ, რომლის განვითარებასა და მსვლელობაზე ბევრათ დამოკიდებულია ჩინეთის მომავალი საერთაშორისო მდგომარეობა.

ჩინეთის 6-7 მილიონი მუშა დღეს განიცდის საშინელ ექსპლოატაციას, დევნასა და რეპრესიებს. ჩინეთის სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთით ანადგურებენ ღენერლების ბანდების შემოტევას და არბევენ მათ მიერ შექმნილ თეთრების ბათალიონებს. გომინდანის აგრარული პოლიტიკით მოტყუებული გლეხთა მრავალრიცხოვანი მასა აწყობს აჯანყებებს. პროვინციის მთავრობები კი, რომლებიც მოსახლეობას პირდებოდენ ირიგაციულ, აგრი-კულტურულ და აღმშენებლობითი დახმარების აღმოჩენას, ვეღარ ენახვება ხალხს. თუ მას გვერდით არ ახლავს კარგად შეიარაღებული მცველები. აქ თითეული სოფელი ფრონტს წარმოადგენს. დაბეგრილია თითქმის ყველა. ბეგარა აკრეფილია რამდენიმე წლის ადრე. სიმშილი მუსრს ავლებს გლეხობას.

ახლად წამოწეული კულაკები და მემამულეები შურს ძიობენ გლეხობაზე 26-27 წ. წ. ჩატარებულ მიწის რეფორმის გამო. სოფლად მწვავე ხასიათს ღებულობს მევახშეობა. ფენებათ დანაწილება ჩქარი ტემპით ვითარდება, გლეხობაში მწვავდება უკმაყოფილება.

თვით წვრილბურჟუაზიული ფენებიც, რომლებიც მოსტყუვდენ და იმედები გაუცრუვდათ, უნდობლად უცქერიან გომინდანს. ისინი სულ მარცხნივ მიემართებიან და რწმუნდებიან მუშათა კლასის სიმართლეში. გენერლები კი ისევ დაქირავებული ჯარებით იკავებენ სულ ახალ-ახალ ტერიტორიებს და განაგრძობენ თავიანთ ბნელ საქმეებს. მუკდენელებმა ნანკინის ხელმძღვანელობით და ჩრ. ამ. შეერთებული შტატების კარნახით ხელთ ჩაიგდეს სამხრეთის რკინის გზა. ს. ს. რ. კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტით მუკდენი გამოუვალ ჩიხში მოემწყვდა. იმის მაგივრად, რომ მათ მოებოჭათ ოქრო და გამდიდრების გზას შესდგომოდენ, ამ მოკლე ხნის განმავლობაში დაჰკარგეს 50 მილიონი დოლარი. მანჯურიაში დღეს სრული ჰაოსი და სიმშილი მძინვარებს. შეწყვეტილია ვაჭრობა-მრეწველობა, ერთის სიტყვით მთელი მხარე საშინელი ეკონომიურ კატასტროფის წინაშე დადგა.

დაქირავებული ჯარი იშლება, ის ცალკე. ჯგუფებათ დაეხეტება სოფლიდან-სოფლად და აწარმოებს ძარცვა-გლეჯას. რკინის გზის ხელში ჩაგდების შემდეგ ჩვენს წარმომადგელობასა და საზღვრებზე სისტემატიური თავდასხმები მოაწყვეს ახალ ომში ჩვენი ჩასათრევად, მაგრამ ეს გეგმები ვერ გაუმართლდათ. [1]) ძლევამოსილი საბჭოთა კავშირი შეურყევლად სდგას თავის წითელ საზღვრებთან და ფხიზელ თვალყურს ადევნებს მოპირდაპირე მხარეში მომქმედ მტრის ოინებს.

ი. მოროზოვი.

---

[1]) ჩვენი ჟურნალის გვერდები უკვე შეკრული და დასაბეჭდათ გამზადებული იყო, როცა მივიღეთ ცნობა ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის მოგვარების შესახებ.

რედ.

ფ ო ლ ა დ თ ა შ ო რ ი ს

(გაგრძელება *)

IX

სამი წელი გავიდა.

დათიამ, როგორც ძველი, გაცვეთილი ქურქი, ისე შემოიგლიჯა წარსული ცხოვრების სუსხი და ახალ ცხოვრებას შეუდგა.

მეგობრებიც ახალი გაიჩინა.

შრომაც სულ სხვა.

და თითქოს ხალხიც შეიცვალა, თავისი სურვილებით, საქმით, გრძნობებით და ფიქრებით.

იქ, სადაც დათია მუშაობს ორი ათასი მუშაა.

ეს არის რკინის გზის მთავარი სახელოსნო.

სახელოსნოები გადაჭიმულია გრძლად, ავსილი განუწყვეტლად მოძრავი მკლავებით, მკერდის, და სახის დაძაგრული კუნთებით და მუდამ ელვარე, გაბრწყინებული თვალებით.

აქ არის რკინები, თუჯი, ფოლადი, გადადუღებული, გავარვარებული წითლად აღგზნებულ ცეცხლში და იგივე რკინა, იგივე ფოლადი და თუჯი ახმაურებული, ხალისიანი შრომისა და შენების საზეიმო ჰარმონიით.

აქ წიკწიკებს პატარა სარქველი. აქ ქშინავს დგუში, დატენილი ორთქლით და პურით; აქ გუგუნებს შეკეთებული, აგებული, ძალით და ღონით ავსილი ორთქლმავლები და აქვე ეცემა პატარა, სუფთა წკრიალა ოფლის წვეთები, ჩამოგორებული შუბლიდან და მკერდიდან.

— დაგ, დაგ... — ეუბნება ფოლადის ბორბალს ურო და მძიმე მოვალეობის ასრულების გამო ძლივს იმართება მალლა ახალი ბგერის ამოსაღებად.

ბორბალი კი წითელია. სულ რამდენიმე წუთის წინ ცეცხლის ღუმელიდან გადმოგორდა და როგორც რეზინი ისე იზნიქება.

— წკრრრ... ზზზზ... — მისრიალებს წინ და მალხაზ ბავშვივით ხმაურობს უზარმაზარ დაზგაში ჩასმული ფოლადმჭრელი დანა.

— შენ, ამხანაგო, აქეთ მოიხედე, — გასძახა დათიას სახელოსნოში შემოსულმა ჭალარა კაცმა, რომლის შემოსვლაც განუწყვეტელი ძლიერი ხმაურის გამო, ვერავინ შეამჩნია.

დათია, რომელიც მარწუხით ჩაჭროდა კარგა მოზრდილ ბორბლის ხრახნს და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ატრიალებდა, ტანში გასწორდა კარებისაკენ რომ გაიხედა, საკონფლიქტო კომისიის თავმჯდომარე დაინახა, ნაცრის ფერი წვერებით, დიდი აბურძგვნილი წარბებით და გარეთ გადმოგდებული თვალებით.

— დღეს 6 საათზე სხდომაა, — მოახლოვებისთანავე რამდენჯერმე მხარზე ხელის დარტყმით მიაძახა და აჩქარებული კილოთი დააყოლა, — საქმეებია, საქმეები... „საქმეების“ წარმოთქმაზე მახვილი განსაკუთრებულად „ქ“-ს დაარტყა და ორივე ხელები ფართედ გადაშალა. ხელების გადაშლით ამტკიცებდა, რომ მას მოცლა არა ჰქონდა და თავიდან ფეხებამდე მუშაობაში იყო ჩაძირული.



იტალიის სასამართლოს დარბაზში სახელმწიფოებრივი დამნაშავეებისათვის დადგმული რკინის გალია — „გ ა ბ ი ა“.

*) იხ. ჟურ. „რემედას“ — 1929 წ. დეკემბრის — № 12.

რედ.

— რის შესახებ არის სხდომა?.. შეეკითხა დათია და თვალებში მიაჩერდა. მარწუხს მეორე ხელიც მოჰკიდა და გადახსნა.

კომისიის თავმჯდომარეს თვალები გახსნილ მარწუხში ჩაუვარდა. რამდენიმე წუთს გაბრუებულივით იცქირებოდა შიგ. მერე თითქოს გამოერკვა და ისეთივე ჩქარი ლაპარაკით წარმოსთქვა:

თეთრი ტერორის მსხვერპლი ჩინეთში.

— კონფლიქტია, კონფლიქტი.. გავჭყლეტთ, როგორც მარწუხში... უკანასკნელი სამი სიტყვა, რაღაც სიბრაზით წარმოსთქვა. ამ დროს მას თვალებიდან თითქოს ნაპერწკლები გადმოუცვინდაო.

დათია სამუშაოსკენ მიბრუნდა.

ხრახნი ისევ მარწუხში მოაქცია და რაც ძალი და ღონე ჰქონდა შემოატრიალა. ბორბლები დაამაგრა. ლიანდაგზე, რომ დაეწყობა, აგუგუნდება სწორად... პირდაპირ...

სახელოსნოს ფანჯრებში ჩრდილი ჩამოწვა. ფანჯრების წინ შემოგორდა ორთქლმავალი. ის რემონტში იდგა. სამი თვის წინად ლიანდაგიდან გადავარდა და დაიმსხვრა.

თეთრი ტეროორი რუმინეთში.

დღეს უკვე დაამთავრეს მისი შეკეთება და უნდა გამოსცადონ.

ფანჯრიდან მოჩანს როგორ ზის ზედ ათასამდე კაცი. ზოგი ქვაბზე, ზოგი აივანზე, ზოგი შიგ და უკანასკნელი წვრილმანი საჭიროებებით ამთავრებენ მუშაობას.

ქვაბს სახურავი ახადეს და ონკანიდან გადმოინთხა ფართე შხრიალა ნაკადულად წყალი. აივსო ქვაბი.

დათიას წინ რამდენ ორთქლმავალს აუმოქმედებია ბორბლები ამ სახელოსნოში შეკეთებულს. ყველა ბორბალი მისი შეკეთებულია, მისი დამაგრებული. კიდევ ერთი ორთქლმავალი უნდა ამოძრავდეს დღეს. ესეც, როგორც ყოველ სხვა დაჯახებით დამტვრეულია. უცქეროდა დათია და ფიქრებში გაეხვია...

— როდემდის უნდა იყოს ეს გულგრილი და მტრული მოპყრობა!.. წაიბუტბუტა თავისთვის და ფანჯარას მიუახლოვდა.

საყუდში ახმაურდა საყვირი.

პირველ ცვლამ მუშაობა დაამთავრა.

სახელოსნოში ხმაური უცბად შესწყდა. მხოლოდ აქაიქ გაისმოდა მცირე, ცალკეული ჩხრიალი ან კაკუნი და ისიც მალე მისწყდა.

ათასი თვალი დღის სინათლეს შეეგება და კმაყოფილნი შრომით, გარჯით, შექმნით და შენებით ცოლშვილისკენ გაეშურენ.

შეკეთებულ ორთქლმავალს კი ისევ ის მუშები ეხვიენ.

ვიდრე ორთქლმავალი არ აგუგუნდა, მათ მუშაობა არ შეუწყვეტიათ.

X

თავმჯდომარის ხელში ზარი აწკრიალდა და აქამდე ლაპარაკში ჩაფლული ოთახი სიჩუმემ მოიცვა.

აქ ისხდენ დაზგის მუშები, რომლებმაც დღე მუშაობაში გაატარეს და საღამოს კი სხდომას სწირავდენ.

მათ სახეებზე დასვენებისა და კმაყოფილების ჩრდილები გადაჰკროდათ.

— ამხანაგებო!.. გაისმა ნებისყოფით და სიძლიერით სავსე ხმა. — ჩვენი დღევანდელი სხდომა მოწვეულია უკანასკნელ შემთხვევების გამო, რომელიც ხდება რკინის გზებზე. — ამ სიტყვებს ამბობდა თავმჯდომარე. ის იცქირებოდა ბრაზით და ერთი სახიდან მეორე სახეზე გადაჰქონდა თვალები.

— მატარებლების დაჯახება ისე გახშირდა, რომ სავსებით ეჭვი გვეპარება მემანქანეების და ტეხნიკური ძალების კეთილსინდისიერებაში. — სიტყვა „კეთილ სინდისიერება“ დაყოფით და გარკვევით წარმოსთქვა, მას სურდა ყურადღება მიექციათ მისთვის. — თავმჯდომარე გაჩუმდა.—ამ სიჩუმით თითქოს ეუბნებოდა—„დაფიქრდით დარწმუნდით, რომ მტრები საშინელებას გვიმზადებენო“.

მართლაც ყველა დუმილმა შეიპყრო.

მერე დათია წამოდგა.

ნელ სთქვა:

— ჩვენ მშვიდობიან ცხოვრებას და ქვეყნის აღმშენებლობას ხელს უშლიან მუშებისა და გლეხების მტრები. საყუდი აივსო დამტვრეული ორთქლმავლებითა და რონოდებით. აი, მხოლოდ ჩემ ხელში რამდენ ორთქლმავალს გაუვლია, არა მარტო დამტვრეულს, არამედ გამოურკვეველი მიზეზებით დაზიანებულსაც. ზოგი მემანქანე გულგრილად ეპყრობა, ზოგი ტეხნიკი, ან ინჟინერი ისეთ ორთქლმავალს უშვებს გზაში, რომელიც პირველ ათ ვერსზევე მუშაობის უნარს დაკარგავს. ეს ყველაფერი ადმინისტრაციის ბრალია. ის არ აქცევს ყურადღებას და ამაოდ იღუპება ქონებაც და შრომაც. — თითქოს თვითონვე ესიამოვნებოდა დათიას თავისი სიტყვა. ამბობდა და გულში რაღაც სიხარულს განიცდიდა. — მე გავათავე, ჩემო ამხანაგებო, მოულოდნელად მოსჭრა სიტყვა და მტკიცე ნაბიჯით გასწია თავის ადგილისაკენ. მას უხაროდა, რომ მშრომელთა ქვეყნისთვის ისიც ზრუნავდა.

როდესაც სიტყვა მემანქანემ აიღო, სწორედ მაშინ ოთახის კარი შემოიღო და ბრწყინვალე, სირბილისაგან გაწითლებული სახე შემონათდა. ყველამ უნებლიეთ მისკენ მიიხედა.

— ახალი ამბავი, ახალი... წარმოსთქვა მან და ცალი ხელი, რომელიც აღტაცების ნიშნად მაღლა ასწია, ჰაერშივე გაუჩერდა.

ის თვალები, რომელიც მას დაჟინებით შესცქეროდენ, უსიტყვოდ ეკითხებოდენ:

— რა მოხდა?!. რა არის?!.

— აი, ამხანაგებო სულ რაღაც ხუთმეტი წუთის წინად ტეხნიკი საღარაძე დაატუსაღეს. მას ბრალი ედება სახელმწიფო ქონებისადმი შეგნებულად გულგრილად მოპყრობაში...

ამ მოკლეს, მაგრამ მეტად საგულისხმო ცნობას ყველამ აღტაცებით მოუსმინა. თითქოს თვითეული მათგანი ამაღლდა, გაიზარდა, სახეებზე სიხარულის ელფერი გადაეკრა, გულში კი კმაყოფილების გრძნობა.

— ამხანაგებო!..—გაისმა თავმჯდომარის მკვეთრი ხმა, სხდომას დახურულად ვაცხადებ, ჩვენი მტრების კვალი მათივე ბუნაგისაკენ უკვე მიგნებულია!..

ოთახი ნელინელ დაიცალა. დარჩა ტიტველი კედლები და არეულად დატოვებული სკამები.

გარეთ კი უკვე საყვირის ხმა მოედო გარემოს, სახელოსნოებიდან კი გამოდიოდენ მეორე ცვლის შრომაში გაჯანსაღებული მუშები.

მოდიოდა ბინდიც უფერული და ჩუმი ჰაეროვანი ბადით.

XI

მეორე დღეს მთელ რკინის გზას მოედო დატუსაღების ამბავი. აღშფოთებული მუშები გინებითა და ლანძღვით იხსენებდენ მას და ხშირად კამათიც იმართებოდა, რადგან იყვნენ ისეთებიც, რომელნიც მუშაობდენ არა იმისთვის, რომ ქვეყნის აღმშენებლობისათვის ხელი შეეწყოთ, არამედ გასამრჯელო მიეღოთ და ეცხოვრათ, ეარსებნად.

დათიამ კარგათ მოიგონა ვინც იყო საღარაძე. მას ყოველთვის ეჭვი ეპარებოდა მასში. მაგრამ არ აგონდებოდა სად შეხვდა და რა პირობებში. სხდომიდან რომ გამოვიდა გზაზე სულ მასზე ფიქრობდა. შინაც გუნებიდან არ მოშორდა. მთელი ღამე თვალწინ ედგა მისი მოკაუჭებული ცხვირი და სისხლით ავსებული თვალები.

გერმანიის ფეხსაცმელების წარმოებებში გაფიცვები მწვავდება, რომელსაც ვერაფერი ვერ „უშველეს“ სოციალ-დემოკრატებმა.

სურათზე — გაფიცულ ახალგაზრდა მუშების მიერ დაყენებული პიკეტები ფეხსაცმელის ფაბრიკა „ბონიფას“ ალაყაფის კარებთან — ბერლინში.

რიჟრაჟზე, როდესაც ჯერ კიდევ საყვირიც კი არ ახმაურებულიყო დათია წამოდგა. კუთხეში მიდგმულ გაზეთ-გადაფარებულ პატარა შაგიდასთან მივიდა და შუა უჯრა გამოსწია.

უნგრეთის საპატიმროებში პოლიტ-პატიმრების მიერ გამოცხადებული სიმშილობასთან დაკავშირებით ვაშინგტონში (ჩრდ. ამ. შეერთებული შტატები) უნგრეთის საკონსულოს წინ ახლო წარსულში უდიდესი დემონსტრაცია მოაწყვეს ანტიფაშისტურმა ლიგამ და შრომის საერთაშორისო დაცვამ. დემონსტრანტები მოითხოვდენ უნგრეთის ყველა პოლიტ-პატიმრების განთავისუფლებას.

გადმოიღო ქალალდები, ნახევები და ნაგლეჯები და მეტის მეტი სიჩქარით გადაავლო თვალი.

ავტობიოგრაფია მოხვდა თითებში და დააცქერდა. გადაიკითხა:

კანტონის კომუნის დღეებში. შეიარაღებული კომუნარები კანტონის ქუჩებში.

..... ავსტრიიდან დავბრუნდი და ჩემს სოფელს მივაშურე. იქ კი ცოცხალი არავინ დამიხვდა. წამოველი ქალაქში სამუშაოს საძებნელად. მალე რკინის გზაზე მეისრედ მოვეწყე. ეს იყო მენშევიკების პერიოდში. მალე ბოლშევიკურ ორგანიზაციის წევრებს გავეცანი და გავუმჟღავნე ჩემი სურვილი. მათთან მუშაობაში ჩავები. რამდენიმე თვის შემდეგ დამიჭირეს და მეტეხში მომათავსეს. მე მახსოვს ავი კაცი გვყავდა ზედამხედველად. ის ახალგაზრდა იყო, მაგრამ იმდენად ბოროტი და ბრიყვი, რომ მის გამო ბარე ათჯერ ვმჯდარვარ კარცერში. ბოლშევიკების გაგონება მას ბრაზსა ჰგვრიდა და ცეცხლივით, ენთებოდა. თვალები სისხლივით უწითლდებოდა... „თვალები სისხლივით უწითლდებოდა"... როგორც რამით გაბრუებულმა გაიმეორა ეს სიტყვები და თითქოს თანდათან გამოერკვა.



მექსიკაში მომხდარი აჯანყების ხელმძღვანელის დახვრეტა.

— ისიც ხომ ქართველი იყო, ახალგაზრდა... გვარი?.. შეეკითხა თავისთავს და იმავე წუთში თვითონვე გასცა პასუხი: „გვარი გამოუცვლია"...

ჯერ ტანში გასწორდა, შემდეგ ფანქარს დაავლო ხელი და ქაღალდზე აათამაშა.

„ახალი მასალა მოქ. სალარაძის პიროვნების გამოსარკვევად".

დასწერა წერილი, კონვერტში ჩადო და სამუშაოს კენ ჯასწია. სახელოსნოში რომ მივიდა, მუშები სამუშაოს დაწყებამდე კარებთან მასლაათობდენ.

დათიას მისვლა არავისთვის შეუმჩნეველი არ დარჩა. თავისი შრომისმოყვარეობით და გარჯით ყველას შეაყვარა თავი და უყვარდათ კიდეც მასთან საუბარი. ისიც ერთ-ერთ ჯგუფში შეერია და როგორც მოწინავე ამხანაგ, ელაპარაკებოდა სხვადასხვა საკითხებზე.

ამ დროს გაზეთებიც მოიტანეს. მუშები წამოცვივდენ და ამტყდარ ღრიანცელში დაირიგეს.

დათიამ გადაჰხედა გაზეთს და თვალი გაუჩერდა შემდეგ ცნობაზე:

„ავსტრიის მუშათა დელეგაცია კვირას იქნება ტფილისში".

გადაიკითხა. გულში რაღაც უცნაური გრძნობა აუძვერდა. თვითონაც არ იცოდა რისთვის მიეწერა ეს. ინტერნაციონალური გრძნობის აძგერება იყო თუ რამე სხვა.

შესვლის საყვირი აგუგუნდა.

ჩაფიქრებული, ჩაჩუმებული შევიდა სახელოსნოში და გადაჰხედა ბორბლებს, რომელიც დღეს უნდა გამოებრძმიდა.

ცოტა ხნის შემდეგ ერთ მთლიან და ხალისიან ფერხულში ჩაება შრომა.

XII

კვირა დღე დადგა.

ტფილისის მუშათა უბნები დილიდანვე შეუდგა მზადებას უცხო სტუმრების შესახვერდად.

მთავარი სახელოსნოებიც დროშებითა და ლოზუნგებათ მოერთოთ.

ავსტრიელი და ტფილისის მუშები ძმურად შეხვდებიან ერთმანეთს და ხელს გაუწვდიან როგორც ერთი აზრითა და მიზნებით გამსჭვალულნი.

მატარებელი კი მოგუგუნებდა შორეულ გზიდან და ქართლის მწვანე მთაგორაკებს იშლიდა წინ.

სადგურზე გამოვიდენ მუშები ამ ორი ათასის წარმომადგენელნი და როდესაც ბაქანს მხნე ტანდიდი ვაჟკაცივით გაიზარდა და აიმართა შავი ღრიალა ორთქლმავალი, გამოჩნდა შორეული ქვეყნის მუშების სახეები. ისინი ღიმილში სცურავდენ და სიხარულის ზვირთებში თრთოდენ.

დათია, მოწინავე მუშა, ენერგიული სახით და ენერგიული ნაბიჯით წასდგა წინ.

— Saive!.. Saive!.. *) გადმოცვივდა რამდენიმე სიტყვა რონოდის საფეხურზე გადმომდგარ ახოვან კაცის. მას მოჰყვა მეორე, მესამე და ათამდე ჩასკვნილი, კუნთებმაგარი ადამიანი გადმოვიდა ძირს.

შეხვედრა იყო გულთბილი და მეგობრული. მთავრობის წარმომადგენელნი მიეგებენ და წაიყვანეს სახელოსნოს წინ აზღვავებულ მუშებთან.

ტრიბუნაზე შედგა ერთი.

ლაპარაკობდა გერმანულად.

დააჯილდოვეს ტაშით.

მის აღტაცებით აღგზნებულ თვალებში იხატებოდა შრომაში მებრძოლთა სიყვარულის ნაპერწკლები.

მასსაში ვიღაც დაფათურდა. გააპო ხალხი და წინ წამოდგა. ის აქამდე უჩუმრად გაბრუებული იდგა და ორატორს უცქეროდა.

შემდეგ კი შესძახა:

— იუზეფ!..

ორატორმა გადმოხედა.

თვალი შეხვდა თვალს.

ორი მშრომელი მარჯვენა ერთმანეთს გაეწოდა და ხელი ხელს გადაეჭდო.

— ჩვენ ომში, ფოლადთა შორისაც და მშვიდობიანობის დროსაც ამხანაგები ვართ, — უთხრა დათიამ გერმანულად და აღტაცებულ მუშათა მასსას გადაჰხედა.

მისალმება გათავდა.

მეორე დღეს დათია დელეგაციასთან ერთად დადიოდა და აჩვენებდა, თუ როგორ შენდება ზაჰესი სამიათასი მუშის მარჯვენით, როგორ აგებენ ქარხნებს, ფაბრიკებს, როგორ შენდება მშრომელთა საქართველო.

დასასრული

ელიზბარ პოლუმორდვინოვი.

ცხრა თვე ჩინეთის საპატიმროში

ქ. ხარბინის ერთ-ერთ გარეუბანში დაგვაპატიმრეს 1927 წ. ჩვენ გვიჯაშუშა იმ სახლის პატრონმა, სადაც ვიკრიბებოდით და კრებებს ვმართავდით. გაჩხრეკის დროს არავითარი მამხილებელი საბუთი ჩვენ არ ამოგვჩენია; მიუხედავათ ამისა ყველანი სასწრაფოდ გადაგვაგზავნეს პოლიციის სამმართველოში.

მიგვიყვანეს, თუ არა პოლიციაში ჩვენ ყველანი ჩაგვყარეს ერთ პატარა ნესტიანსა და ბნელ სარდაფში. ეს საკანი ისე ბნელით მოცული იყო, რომ შეუძლებელი იყო კედლების გარჩევაც კი. ამასვე დაუმატეთ ის გარმოება, რომ აქ სუფევდა საშინელი უსუფთაობა, ჭუჭყი და სიბინძურე. კედლებზე დაღოლავდენ აურაცხელი მკბენარები, იქვე იდგა დასვრილი წყალი, რომელსაც სვამდენ პატიმრები და საშინლად აყროლებული პარაშა. ჩვენი პატარა სარკაფის მოცულობა უდრიდა სულ რამდენიმე კვადრატულ მეტრს. კედლის გასწვრივ იყო ნარი, რომელზედაც მუხლებამდე ტალახი ეყარა. ჩვენ შევეცადეთ დაგვეთვალა საკანში უკვე ჩვენამდე მოქცეული პატიმრები. მაგრამ სიბნელის გამო ეს შეუძლებელი გახდა რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენს საკანში შემოაგდეს ხუნდებით ხელფეხშეკრული, ათიოდე ჩინელი ახალგაზრდა.

პატარა სარკმელიდან, რომელიც გადიოდა პოლიციის სამმართველოს ტალანში, მოსჩანდა ვრცელი ეზო და რკინის ალაყაფის კარები, სადაც იდგენ გაშეშებული, შაგვრემანი დარაჯი; ცოტა იქით ჩვენი ახლობელი ამხანაგები და ნაცნობ-მეგობრები, რომლებიც ცდილობდენ ეზოში შემოსვლას... საპატიმროს ერთგული დარაჯი ხვეწნა-მუდარის საპასუხოთ თუთიყუშივით „პუსინ“ (არ შეიძლება) გაიძახოდა. ჩვენი ამხანაგები შემოუშვეს და მივიღეთ მათგან გადაცემები, რომლებშიაც ვიპოვეთ შეხვეული პაპიროსები. ვისარგებლეთ რა იმ გარემოებით, რომ მეცხოვნეებმა არ იცოდენ რუსული ენა ჩვენ რამდენიმე ცნობა მივაწვდინეთ თავისუფლებაში მყოფ ამხანაგებს. ამით ცოტა გულზე მოგვეშვა. ერთ საათში ჩვენ უკვე მხიარულად



თეთრი ტერორი ჩინეთში.

*) სალამი!.. სალამი!..

ვისხედით, ვაკეთებდით პურის ჭადრაკს, ვთამაშობდით და თავს ვირთობდით.

ორი დღის შემდეგ პროკურორის განკარგულებით, როგორც კომუნისტური იდეების პროპაგანდისტები, საპატიმროში გადაგვიყვანეს სპეციალური ეტლით, რომელშიაც ება ორი მოზრდილი ცხენი, მიგვაქროლებდა ქვაფენილებზე. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ შევჩერდით დაბალი ქვის შენობის წინ, სადაც ეკიდა პატარა აბრა წარწერით „საპატიმრო". დაიწყო მოსაბეზრებელი და საშინელი პროცედურა — გაჩხრეკა, დარაჯის განყოფილებაში. სრულიად გაგვაშიშვლეს, ფეხსაცმელებს ააძვრეს ლანჩები, დაკვირვებით ათვალიერებდენ სარდაფებს, ასე გაშინჯეთ ტანისამოსის ყოველ ნაოჭსაც კი ჩხრეკდენ. გაჩხრეკის დამთავრების შემდეგ ჩვენ გაგვიყვანეს კანტორაში რეგისტრაციაში გასატარებლად, აქედან წაგვიყვანეს, გაგვყვეს ორ-ნაწილად და მოგვათავსეს საკნებში.



საპატიმროში მოთავსებული პოლიტ-პატიმარი ხის ხუნდებში (სამხრეთ-ამერიკა).



ამერიკის საპატიმროში ცალკე საკანი.

ეს საპატიმრო — საკატორღო იყო. აქ მეტად მკაცრი რეჟიმი სუფევდა. საპატიმროს ეზოში ყველა კორპუსებიდან რკინის ხუნდების ჩხარუნი მოისმოდა. აქ ყველა პატიმრები ბორკილებში ისხდენ.

ამ საპატიმროში დამკვიდრებული უსაშინელესი რეჟიმი შემოღებული იყო მთელს მონღოლეთში თავისი სიმკაცრით სახელგანთქმული, თეთრგვარდიელთა ბანდების მეთაურის ბარონ უნგერის თანაშემწის მიერ.

ძნელი იყო საკანში ცხოვრება. აქ აკრძალული იყო ჟურნალ-გაზეთები, წიგნები, თუთუნი და სხვა, რაც ადამიანისთვის წარმოადგენს პირველ მოთხოვნილების საგანს. არ გაგვაჩნდა ნემსიც კი — რომლითაც შესაძლო იყო გამოხეული ტანისამოსის ამოკერვა. სურსათისათვის გვეძლეოდა ხარბინის 13 ცენტი, რომელიც ჩვენს ფულზე უდრის 7-8 კაპეიკს. სადილად ჩვენ გვეძლეოდა დამპალი ბრინჯის სუფი, ან ჩინურ სალათის (2-3 ფოთოლი 5 კაცის კერძში) ბორში, ცოტა კარტოფილი და 5 გრამი ხორცი, რომელიც რეზინის ნაჭერს უფრო წააგავდა. ასეთი სადილის შესახებ ჩვენთან მასხრობდენ: „ერთი კოვზი პირისკენ — ორი უკან"-ო.

საპატიმროში ჩვენ დაგვირიგეს დახეულ-დაკონკილი ტანსაცმელი. ეს ჩვრები ჩვენ დაგვირიგა ყოფილმა თეთრგვარდიელმა, კორნილოვის ყინულოვანი გალაშქრების გმირმა, რომელსაც რუსეთში დამარცხების შემდეგ აქ ეპოვა მყუდრო ბინა და, რომელსაც ყველა ჩვენთაგანი ჭირივით სძულდა.

ზედამხედველთა მთელი შემადგენლობა ასეთივე იყო. ვინ გინდოდათ, რომ აქ არ გენახათ. პროფესიონალური მეციხოვნე 25 წ. სტაჟით, ჩვენებური კორნილოველი, ყველა ჯურის ატამანებისა და ბანდების ხელმძღვანელები და ჩინეთის პროლეტარიატის სისხლით გასუქებული ჯალათები — ნეჩაეველები და საროსკიპო სახლების მეპატრონეებიც კი. ამ ნაძირალებს აქ შეუქმნიათ ისეთი მძიმე რეჟიმი, რომელიც შეეხარბებოდა საშუალო საუკუნის მეციხოვნეებსაც კი.

ეს კიდევ ცოტაა. საპატიმროში გამეფებული იყო ჯაშუშობა, დაბეზღება და ათასგვარი გაიძვეროობა. არც ერთი ჩვენთაგანი არ იყო დარწმუნებული იმაში, რომ არ მოგვიწყობდენ რაიმე პროვოკაციას და კიდევ უფრო უარეს დღეში არ ჩაგვაგდებდენ.

ყველა საკანში იჯდა თითო ოროლა ჯაშუში, რომლებსაც დაბეჯითებით მიჰქონდათ საპატიმროს ადმინისტრაციასთან ის ცნობები რისი გაგებასაც ისინ მოახერხებდენ პატმრებისაგან. საკმარისი იყო ჩვენთან აღმოჩენილიყო ათიოდე პაპიროსი, ან „არალეგალური" ნემსი, იმ წამსვე დაიწყებოდა დაუსრულებელი ჩხრეკა, გამოცდილი ზედამხედველი მართლაც ჰპოულობდა ამ აკრძალულ ნივთს სადმე ჭუჭრუტანაში. საკანში დიდი სიფრთხილე გვჭირდებოდა. ჩვენ ირგვლივ გვერტყა ბანდიტები, ქურბაცაცები და ათასგვარი საეჭვო პირები. ამათგან ირჩევდენ ზედამხედველებს. ყველაზე უსაშინელესი ამათგან იყო, ვიღაც საპაილო, ეს იყო საზიზღარი შესახედავი ადა-

მიანი, რომლის სახელი ჰქუხდა ოდესლაც ზაბაიკალის ოლქსა და მთელს მონღოლეთში. ვინ იცის, ვინ მოსთვლის, თუ რამდენი პარტიზანელი გლეხი დაუხვრეტია მას! აქ ის ასრულებდა საპატიმროს ბიბგამგისა და ეკლესიის მნათეს მოვალეობას. მისი ეშინოდათ, როგორც პატიმრებს, ისე ზედამხედველებსაც. ის იყო ერთგული და გამგონე ქოფაქი საპატიმროს ადმინისტრაციისა. ამიტომ იყო, რომ საპატიმროს ადმინისტრაცია მას ყველაზე უფრო მეტი ნდობით უყურებდა.

ჩვენი საერთო საკანი ყველაზე უვარგისი იყო. ის სავსე იყო პატიმრებით. ვის არ შეხვდებოდით აქ. ერთი კუთხიდან მეორემდე ნელი ნაბიჯით განუწყვეტლივ დადიოდა ვიღაც საშინელი შესახედავი კაცი, აქვე იყო ვენერიული სნეულებით შეპყრობილი; ნარების ქვეშ იჯდა შეშლილი მუსიკოსი; ეს კაცი ჩინეთის ხელისუფლებამ გადმოიყვანა აქ შეშლილთა სახლიდან. ის შეპყრობილი იყო გაქცევის მანიით. როცა ყველანი დაიძინებდენ ის გამოძვრებოდა ნარდან, ეცემოდა ფანჯარას, დაუწყებდა მტვრევას რკინის ხარიხებს და ვითომ გაქცევას აპირებდა. მის ხმაურობაზე იღვიძებდენ პატიმრები და ყველანი ურტყამდენ მას. სისხლის სამართლის დამნაშავენი ამ საბრალო მუსიკოსის ცემის შემდეგ ისევ მიეგდებოდენ ნარებზე.

ასეთ პირობებში გვიხდებოდა ცხოვრება.

თვენახევრის შემდეგ, როცა ჩვენს საკანში თავი მოიყარა 17-დე პოლიტიკურმა, მოგვცეს ცალკე განყოფილება. ამ ახალ საკანში ჩვენ შევქმენით ასე, თუ ისე გვარიანი პირობები. საპატიმროს ბიბლიოთეკაში, რომელიც სანაგვე ყუთს უფრო წააგავდა, ჩვენ ამოვარჩიეთ რამდენიმე ასე თუ ისე სასარგებლო წიგნი.

ალმზრდელობით მუშაობის ჩასატარებლად და საპატიმროს გარეთ დარჩენილებთან კავშირის დასამყარებლათ ჩვენ ავირჩიეთ სამეული.

ალმოჩენილმა ლიტერატურამ და მცოდნე ამხანაგებმა ჩვენ მოგვცა საშუალება ჩამოგვეყალიბებია პოლიტ-ეკონომიის წრე, რომელიც მთელი იქ ყოფნის განმავლობაში სისტემაიტურად აწარმოებდა მუშაობას.

ჩვენ ვმეცადინეობდით აგრეთვე მათემათიკაში, რუსულსა და სხვა საგნებში. ამავე დროს არც თავის გართობასაც ვივიწყებდით. პურისაგან ჩვენ გავაკეთეთ ჭადრაკის ქვები, მოვამზადეთ დაფა. ასე ვირთობდით თავს და პატიმრობის ხანგრძლივ მძიმე საათებს ვანდომებდით ერთიმეორესთან შეჯიბრებაში.

ჩვენ ძალიან ვცდილობდით, რითიმე აღგვენიშნა რევოლიუციონური დღესასწაულები. ამას ჩვენ ყოველთვის ვახერხებდით. მაგალითად ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის აღსანიშნავად ჩვენ დემონსტრაციაც კი მოვაწყვეთ. ეს გამოიხატა იმაში, რომ არც ერთი ჩვენთაგანი იმ დღეს სამუშაოთ არ გავიდა. მართალია ჩვენ ამის შემდეგ დავკარგეთ ყველაფერი ის, რითაც დრო გამოშვებით ხელს გვიწყობდა ადმინისტრაცია. ამ განხეთქილებას ჩვენ ვუწოდეთ „საოქტომბრო განხეთქილება“.

არ გაუვლია დიდ ხანს, ყველაფერი ძველ კალაპოტში ჩადგა. ჩვენ დავიბრუნეთ ყველა დაკარგული უფლებები. თუ პრივილეგიები. კიდევ მეტი. მოვისყიდეთ ზედამხედველები, ისინი დაექრთამეთ და ამის შემდეგ საკნიდან

რუმინეთის სიგურიანცის მიერ დაპატიმრებული რუმინელი გლეხები; გარდაიცვალენ საპატიმროში აუტანელი ცემისაგან.

გვიშვებდენ მნახველებთან სალაპარაკოთ. მაგრამ ეს ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელდა. ჩვენ გაგვცა ერთმა სისხლის სამართლის დამნაშავემ და... „იანვრის განხეთქილებას“ უფრო მწვავე შედეგები მოჰყვა ჩვენთვის.



სოფიაში „52“-ის პროცესზე მთავარი ბრალდებულები. მარცხნიდან მარჯვნივ: ი ო ნ კ ო პ ა ნ ო ვ ი და მ ლ ა დ ე ნ სტ ო ი ა ნ ო ვ ი.

9 თვის შემდეგ საპატიმროს კარები გაიღო და ჩვენ ისევ თავისუფლებაში ამოვყავით თავი. 3 თვის განმავლობაში ვიყავით პოლიციის სასტიკი ზედამხედველობის ქვეშ და ამის შემდეგ კი უკვე შევუდექით დაწყებულ ბრძოლას, რომელიც ისევ შეუბრალებელმა მეციხოვნებმა შეგვაწყვეტიეს...

არკ. სიდოროვი.

„კომუნისტებისათვის სამუშაო არ არის“

ფრანგი ფაბრიკანტები და მექარხნეები ყოველთვის ცდილობდენ, რომ მათ წარმოებაში ადგილი არა ქონოდა „არასაიმედო ელემენტებს“. ეხლა კი—კლასთა შორის ბრძოლის გამწვავებასთან დაკავშირებით იმათ უფრო გააძლიერეს საწინააღმდეგო ზომები. ისინი გაცი-

დაპატიმრებული მუშები პოლიციის სამმართველოში.

ლებით უფრო ფრთხილობენ: მუშა-კომუნისტი, კომკავშირელი, რევოლიუციონური პროფკავშირის წევრს და რემედასელს იმედი არ უნდა ჰქონდეს იმისა, რომ ის მიიღებს სამუშაოს, თუ კი ისინი ვერ მოახერხებენ ამ ორგანიზაციების წევრობის დამალვას.

ყველა მწარმოებლები აწვდიან ერთი მეორეს ცნობებს დათხოვნილი მუშების შესახებ. ხშირად ქარხნის კანტორაში გაიგონებთ ასეთ საუბარს:

— თქვენ ეძებთ სამუშაოს არა? — ძალიან კარგი!

სამუშაოს მძებნელის უკანასკნელ ხანებში სამსახურის ადგილიდან გაცემული მოწმობის გადაშინჯვის შემდეგ პირადი შემადგენლობის მაგიდის უფროსი აცხადებს:

ქარხნიდან გაძევებული მუშები გროვდებიან მიტინგზე.

— ნემოიარეთ ხვარ... ან, შეგატყობინებენ...

დაუყოვნებლივ იწყებს მუშაობას ტელეფონი. თუ კი — ფრთხილი გამოკითხვის და გამოკვლევის შემდეგ გამოირკვევა, რომ სამუშაოს მძებნელი „საშიშარი აგიტატორია“ სამუშაოს მიღების იმედები სამუდამოთ გაცრუებული იქნება. ერთი სიტყვით: კომუნისტისათვის სამუშაო არ არის“.

ყოველგვარ საშუალებებს მიმართავენ არალეგალურ „უჯრედის“ ამოსაჩენად.

მე კარგათ მახსოვს, საქარხნო უჯრედების დაარსებისა და ჩამოყალიბების პირველ ხანებში ქარხნის მეპატრონეები ვერ ბედავდენ კომუნისტების დათხოვნას, თუ კი ისინი კარგად, კეთილსინდისიერათ მუშაობდენ და საქმის მცოდნეები იყვენ. უკანასკნელ ხანებში იმათ უმოწყალოთ ერეკებიან წარმოებიდან. ეხლა კი, ვიზედაც ეჭვს მიიტანენ. მაშინათვე ითხოვენ სამუშაოდან, ხშირად ეს ხდება პროვოკაციული საშუალებებით, როგორიცაა მაგალითად ხელფასის თანდათანობით დაკლება და სხვა.

დიდ ქარხნებში კი — როგორიცაა მაგალითად, საავტომობილო ქარხანა სიტორენ — არსებობს სპეციალური განყოფილება, სადაც ყოველი ახლად მოსული მუშა ვალდებულია გადაიღოს სურათი, აქვე იღებენ მათი ხელის ანაბეჭდებს და ადგენენ მათ დეტალურ ანკეტას. პოლიცია ხშირად მიმართავს ქარხნის ადმინისტრაციას ამა თუ იმ ცნობის მისაღებათ, რათა „სწორად“ შეადგინონ რევოლიუციონერ მუშების სია. ეს ანკეტებიც სწორედ აქ დანიშნულებისათვის არის გამოგონილი.

თუ საეჭვო მუშა მოხვდა ქარხანაში, მისი გზა საპატიმროსაკენაა. თუ მასზე რაიმე რევოლიუციონური „ცოდვები ირიცხება“ მას გვერდით ამოუყენებენ ჯაშუშს. ის ამ უკანასკნელის განკარგულებიაშია. ეს ჯაშუში კი უშუალოდ დაკავშირებულია ქარხნის დირექციასთან.

აქვე უნდა დავსძინო, რომ უდიდეს ქარხნებში არსებობს აგრეთვე სპეციალური პოლიციის ჯაშუშთა ჯგუფი.

მაგალითად: ავგვისტოს წინა დღეებში პარტიამ წარმოებაში დავალებით გაგზავნა ერთი ქალი. რამდენიმე ხნის შემდეგ ის აღმოაჩინეს ჯაშუშებმა.

მუშაობიდან გამოუძახეს მას. დამქირავებელ ბიუროში გაუსწორეს ანგარიში. იქვე აღმოჩნდა პოლიციის ოთხი ინსპექტორი, რომლებმაც ჩუმად დააპატიმრეს ის და რომ ეს ამბავი არ გაეგოთ სხვა მუშებს, სასწრაფოთ წაიყვანეს ქარხნის ავტომობილით.

მწარმოებლებისათვის არც თუ ისე ადვილი საქმეა უჯრედის აღმოჩენა, ამიტომ ისინი არ ეროდებიან არავითარ ზომებს მათ აღმოსაჩენად.

ისინი წარმოებებში მუშაობის დაწყების შემდეგ ჯიბეებს უშინჯავენ მუშებს, რათა აღმოუჩინონ მათ კომუნისტური გაზეთი, ან რომელიმე რევოლიუციონური ორგანიზაციის საწევრო ბილეთი. ისინი აწყობენ ათასგვარ პროვოკაციებს, რათა ადვილათ გამოარკვიონ რევოლიუ-

რევოლიუციონურად განწყობილი მუშები და დაითხოვონ სამსახურიდან. ისინი დავალებებით აგზავნიან ჯაშუშებს ქარხნის უჯრედებში. ქარხნის ადმინისტრაცია ცდილობს მოისყიდოს უჯრედის მდივანი, ან უჯრედის გავლენიანი პირები.

პოლიცია ქარხნის პატრონის სრულ განკარგულებაშია. გაფიცვების დროს მესაკუთრეთა ინტერესების დასაცავად მოქმედებენ პოლიციელები. ისინი აპატიმრებენ არალეგალურ ლიტერატურის გამვრცელებლებსა და ორატორებს, რომლებიც სიტყვებით გამოდიან ქარხნის კარებთან.

ყოველდღიური შევიწროებით, დევნით და დამცირებით საფრანგეთის პროლეტარიატი მტკიცდება და ძლიერდება მომავალ ბრძოლების გასაჩაღებლად. იმათ კარგად ესმით კომპარტიის ასეთი დევნის მიზეზები. მათ კარგათ იციან, თუ რატომ ებრძვის ბურჟუაზია კომუნისტურ პარტიას, რომელიც იბრძვის ახალ იმპერიალისტური ომის სამზადისის წინააღმდეგ და, საბჭოთა კავშირის, ამ საერთაშორისო პროლეტაირატის ერთად-ერთ სამშობლოს დასაცავად.

მ. სუპპო.

ვამტკიცებთ ინტერნაციონალურ კავშირს

ახალგაზრდობის ერთად-ერთ მძლავრ და კლასობრივ ბრძოლაში გამობრძმედილ ორგანიზაციას გერმანიაში წარმოადგენს კომკავშირი. მაგრამ ის თავის წევრთა რაოდენობით მაინც ვერ უთანასწორდება „სოციალისტურ-მუშა-ახალგაზრდობის კავშირს". ამ ორგანიზაციების გარდა გერმანიაში არსებობს აგრეთვე რამოდენიმე ათეული ფაშისტური და ბურჟუაზიულ ახალგაზრდობის გაერთიანებანი. ამ უკანასკნელთა შორის ყველაზე ძლიერია „ახალგაზრდობის ბისმარკის სახელობის პოლიტიკური კავშირი".

1919 წ. ნოემბრის რევოლიუციამ სრულიად არ გააუმჯობესა მუშა-ახალგაზრდობის მდგომარეობა. განვლილ 10 წლის განმავლობაში ჩვენ ვერაფერს ვერ მივაღწიეთ და, პირიქით, ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა უფრო გაუარესდა. სოციალ-დემოკრატები და ფაშისტები, ეკლესიასთან და კაპიტალთან შეკავშირებით, გაშმაგებით ეწევიან მშრომელ ახალგაზრდობის ექსპლოატაციას.

პარლამენტში ისინი წარმოადგენენ ე. წ. მთავრობის კოალიციას, მთავრობაში მათ ყავთ უმრავლესობა; ამიტომ ისინი სცემენ ისეთ ახალ-ახალ დეკრეტებს, რომელიც უფრო აფართოებენ მესაკუთრეთა უფლებებს და ხელს უწყობენ სხვისი შრომის გამოყენებას. საექსპლოატაციო ობიექტს წარმოადგენენ ე. წ. „შეგირდები". ისინი სავსებით დამოკიდებულნი არიან თავიანთ დამქირავებლებისაგან. მათთვის არ არსებობს 8 საათის სამუშაო დღე. მათი სამუშაო დღე უდრის 12-15 საათს, ხელფასი კი — 2-3 ფენინგს დღეში. შეგირდთა მუშაობა მიმდინარეობს უხეში ზედამხედველობის ქვეშ; 3-4 წლის მძიმე ექსპლოატაციის შემდეგ თავდება მათი სწავლება, რის შემდეგ მცირე ნაწილი რჩება იმავე წარმოებაში, უმრავლესობა კი უერთდება უმუშევართა მრავალ მილიონიან არმიას.

რეფორმისტული კავშირები არავითარ ზომებს არ ღებულობენ შეგირდთა შრომის პირობების გასაუმჯობესებლად, პირიქით, ისინი ცდილობენ, რაც შეიძლება შეზღუდონ მათი უფლებები. მებრძოლი და მშრომელ ახალგაზრდობის ინტერესების დამცველია კომპარტია, კომკავშირი და იუნგშტურმი. მათ მუშაობას ყველგან იცნობენ: ფაბრიკა-ქარხნებში, გლეხობაში და გლეხურ ახალგაზრდობაში. კომკავშირს ყავს მტკიცე დასაყრდენი — მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა, რომელიც საჭიროებისამებრ მედგრად გამოდის კაპიტალთან საბრძოლველად.



ქუჩა ქ. იოჰანესბურგში (სამხრეთ-აფრიკა), სადაც ახლო წარსულში ადგილი ქჰონდა ადგილობრივ მკვიდრთა უდიდეს მღელვარებას.

საგადარჩევო კამპანიებში ჩვენ ვღებულობთ აქტიურ მონაწილეობას; ვადგენთ აგიტ-ჯგუფებს, რომლებიც აცნობენ მოსახლეობას საგადარჩევო კამპანიის მნიშვნელობას, სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიების პროგრამას და სხვა. ყველაფერი ეს ხდება მეტად მძიმე პირობებში, რადგან პოლიცია დიდ სიფრთხილეს იჩენს და ყოველგვარ ჩვენ საქმიანობას თვალყურს ადევნებს. მუშაობის საწარმოებლად ჩვენ არ გაგვაჩნია ბინები. მოლაპარაკებას ერთმანეთთან და ცნობათა მიღებას ვაწარმოებთ კაფეებსა და რესტორნებში.

ლეიპციგში ასეთი მუშაობის საწარმოებლად კომპარტიის განკარგულებაში არის 30 მეტი სასადილო. საგადარჩევო კამპანიის პერიოდში ეს სასადილოები ივსება

რევოლიუციონერებით, მუშაობა სწარმოებს ფრთხილად, რომ აცდენილი იქნას პოლიციის თავდასხმა, მაგრამ ყოველთვის ეს ვერ ხერხდება. ამის დასამტკიცებლად მოვიყვან შემდეგ ფაქტს.

ამხ. ფ რ ე დ ბ ი ლ
ერთ-ერთი ბრალდებულთაგანი გასტონში მომხდარი ამბების გამო. ა. ხ. ბილ დროებით განთავისუფლებულია სააპელიაციო სასამართლოში საქმის გარჩევამდე. სურათზე—შეხვედრა ბილთან ბოსტონში.

არჩევნების ერთი დღის წინ, 11 მაისს, დილის 4 საათზე, ქ. ლეიპციგში მოხდა პოლიციის თავდასხმა ჩვენს ბინაზე. პოლიციელებმა დააპატიმრეს 23 საუკეთესო რევოლიუციონერი და თავგამოდებული მუშაკები. მაგრამ ჩვენ ასეთი რეპრესიის საპასუხოდ უფრო გავაძლიერეთ მუშაობა და შევეცადეთ მუშურ-ახალგაზრდობის ახალ კადრების ჩაბმას ჩვენს რიგებში. პოლიცია კი თავის მხრივ უფრო აღრმავებს რეპრესიებს და მიაღწია იმას, რომ მოსპობილ იქნა წითელ ფრონტელთა რევოლიუციონური კავშირი.

კომკავშირი მედგრად იცავს ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაც. მეექვსე კონგრესის დადგენილებებს. ის გააფთრებით ებრძვის ყოველგვარ გადახრებს კომკავშირის შიგნით. ამ ხაზით ჩვენ ჩავატარეთ სერიოზული მუშაობა, რომლის დროს ფარდას ვხდით მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტთა ზრახვებს. იმ გზას, რომლითაც მიდიოდნენ ლენინი, ლიბკნეხტი და ლიუქსენბურგი, ჩვენ ერთგულად მივყვებით. მათი იდეა — შეურიგებელი და მედგარი ბრძოლა კლასიურ მტრებთან — ტარდება შეურყევლად გერმანიის კომპარტიის და კომკავშირის მიერ.

მიუხედავად პოლიციის სისხლის მღვრელი ტერორისა, ფაშისტების მიერ მუშების მხეცურად დახოცვისა და ციხით და გადასახლებით ჩვენი დაშინებისა, ჩვენ უფრო შევამჭიდროვებთ საკუთარ რიგებს, უფრო მედგრად შევუტევთ მტრებს და უპასუხებთ მათ მასიურ პროლეტარულ ტორირით.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს გერმანიის წითელ ოქტომბერს!

როოლაპერი.

რემედასი საქართველოში

მეტი ყურადღება თვითკრიტიკის ფართედ გაშლას ჩვენში

თვითკრიტიკა ერთად-ერთი საშვალებაა ყველა იმ ნაკლთა და დაუდევრობათა აღმოსაფხვრელად, რომელიც შემჩნეული იქნება ამა, თუ იმ ორგანიზაციაში. თვითკრიტიკის ფართედ გამოსაყენებლათ მუშაობენ ყველა ორგანიზაციები. მისი სწორად გატარება დამოკიდებულია, იმაზე, თუ რამდენად ჩავაბამთ ჩვენ ძირითად ორგანიზაციებს და მასში გაერთიანებულ ამხანაგებს.

როგორც სხვა დანარჩენი ორგანიზაციები, ისე რემედასის ორგანიზაციებმაც უნდა მიიღონ ამ საქმეში მხურვალე მონაწილეობა. ყველასათვის ცხადია ის გარემოება, რომ რემედასი ამ 6-7 წლის განმავლობაში აქტიურად ჩაება სოციალისტური მშენებლობასა და იმ კამპანიებში, რომელსაც ატარებს კომუნისტური პარტია. ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ უკანასკნელად რემედასის ორგანიზაციებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღეს საბჭოების გადარჩევის კამპანიის ნაყოფიერად ჩატარებაში.

რემედასის ორგანიზაცია დღითი-დღე მტკიცდება და ძლიერდება; ის იზრდება, როგორც რიცხობრივად, ისე თვისობრივადაც. რემედასის არსებობის მციდერი ხნის განმავლობაში ჩვენ ვხედავთ მრავალ მიღწევებს. რემედასი უკვე გახდა ავტორიტეტიანი ორგანიზაცია. ამას ამტკიცებს ის ფაქტი, რომ რემედასში გაერთიანებულია უპარტიო მასის 70 — 75% და რემედასის მუშაობასთან ერთად ის ჩაბმულია ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობის საქმეში.

უნდა აღინიშნოს, რომ თვითკრიტიკის ფართედ გამოსაყენებლად ბევრი არაფერი გაუკეთებია რემედასის ორგანიზაციებს; ამ საკითხის გასაშუქებლად დაიწერა ჩვენს ჟურნალში ორი, თუ სამი წერილი; ისიც ხელმძღვანელ ორგანოების მიერ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ დარგში თვალსაჩინო მიღწევები გვაქვს. ყოველგვარ ნაკლსა და მავნებლობას, რომელსაც ადგილი ექნება ჩვენს ქვეყანაში, ყურადღებას უნდა აქცევდენ რემედასის წევრები.

საჭიროა რამოდენიმე სიტყვით აღვნიშნოთ, თუ რა ხდება რემედასის ორგანიზაციებში და, როგორ არის გამოყენებულია თვითკრიტიკა. არავის შეუძლია იმის თქმა, რომ ჩვენს ორგანიზაციებში თითქოს ადგილი არ ჰქონდეს ნაკლს, ბიუროკრატობას. დავალიანებათა დაგროვებას, და რემედასის მუშაობისადმი გულცივად მოპყრობას. ხშირად ჩვენი ორგანიზაცია დაშლის პროცესზეა მისული. ამას არავინ არ აქცევს ყურადღებას. თუ საქმეში სამაზრო, ან ცენტრალური კომიტეტი არ ჩაერია. ადგილებზე მომუშავე ამხანაგები ამ ნაკლთა გამოსასწორებლად თავს არ იწუხებენ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი სტატისტიკური ფორმები არ იყო გამოსადეგი და ხელმისაწდომი ძირითადი ორგანიზაციისათვის, მაგრამ ამისთვის არავის არ მიუქცევია ყურადღება, სანამ ისევ ზემდგომ ორგანოებმა არ გამოასწორეს ეს ნაკლი. *)

ავიღოთ ჩვენი ძირითადი საკითხი. აქვს თუ არა ადგილი ჩვენს ორგანიზაციაში, ორგანიზაციის სტრუქტურის უხეშად დარღვევას, რაც ხელს უშლის ჩვენს ნაყოფიერ მუშაობას. ადგილი აქვს უჯრედის უჯრედთან ჩამოყალიბებას და სხვა. მაგალითად, დარჩელის თემში (ზუგდიდის მაზრა) რემედასის სამ-დღიურის ჩატარებას ადგილობრივი პასუხისმგებელი ამხანაგები ხელს უშლიდენ. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ჩვენმა რედაქციამ და ჟურმალ „რემედასი"-ს № 9 მოთავსდა ვინმე „მოწმის" წერილი.

თუ სადმე რაიმე ნაკლს ექცევა ყურადღება, მასში მთლიანად და უშუალოდ მასა არ ღებულობს მონაწილეობას. ამას უნდა მიექცეს ყურადღება და ის ერთხელ და სამუდამოთ უნდა გამოვასწოროთ.

საკითხავია, როგორ ასრულებენ რემედასის ხელმძღვანელად არჩეული ამხანაგები თავიანთ მოვალეობას? აქვე უნდა აღინიშნოს სარევიზიო კომისიების „მუშაობა", რომელიც უმრავლეს შემთხვევებში არა სჩანს. სარევიზიო კომისიები, რომ თავის სიმაღლეზე იდგენ, რემედასის მიერ შეგროვილ კაპეიკების გაფლანგვას ზოგან ადგილი არ ექნებოდა.

ზოგიერთების აზრით, რაკი რემედასი ნებაყოფლობითი ორგანიზაციაა, ფიქრობენ, მაში მუშაობაც ნებაყოფლობითი უნდა იყოსო. ეს კი მიუტოვებელი დანაშაულია. მარარავის არ ეპატიება ასე მსჯელობა ჩვენს დროში. მართალია რემედასი არ არის წმინდა კლასობრივი ორგანიზაცია, მაგრამ ის პარტიასთან ერთად იბრძვის საერთაშორისო ოქტომბრის მოსაპოებლად, და თავისი ათიმილიონიანი წევრით მზად არის ლახვარი ჩასცეს ყველა იმათ, ვინც მოინდომებს საბჭოთა ქვეყნის მშვიდობიანობის დარღვევას. თუ ეს ასეა რემედასში არ უნდა მუშაობდენ შემთხვევითი ელემენტები, რომლებსაც არ აინტერესებთ ჩვენი უდიდესი ამოცანები.

რემედასის უჯრედები, თუ თემკომები საანგარიშო კრებებზე აბარებენ თავიანთ მუშაობის შესახებ ანგარიშს. მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია: იმ პირობებში, რომელშიაც მას უხდებოდა მოღვაწეობა, მუშაობა ცნობილი იქნეს დამაკმაყოფილებლად. დადგენილებაში არ არის აღნიშნული, თუ რა პირობებში უხდებოდა მუშაობა, აძა თუ იმ უჯრედს. 7-8 თვის განმავლობაში არაფერი არ გაკეთებულა, მაგრამ მუშაობას მაინც „სცნობენ" დამაკმაყოფილებად (ლია, ანაკლია, ხეთა), ეს „შ ე ნ ც ი ც ო ცხ ლ ე, მ ე ც მ ა ც ო ც ხ ლ ე ს" მიდრეკილებაა. ჩვენ ეს არ გამოგვადგება.

ასეთი ყოვლად მიუტოვებელი დანაშაული აუცილებლად უნდა იქნეს კრიტიკის ქარ-ცეცხლში გატარებული. ყოველგვარი წვრილმანი, რომელსაც რაიმე დადებითი, ან უარყოფითი ხასიათი აქვს ჩვენი ორგანიზაციისათვის აუცილებლად უნდა იწერებოდეს ადგილობრივ კედლის გაზეთებში, საბჭოთა-პარტიულ პრესაში, პირველ რიგში კი, ჟურნალ „რ ე მ ე დ ა ს"-ში.

გაფიცული ფეიქართა დევნა გასტონში (ჩ. ა. შ. შ.).

ამრიგად, დროა საქართველოში რემედასის არსებობის მეშვიდე წელში მაინც შევიგნოთ, რომ რემედასში სხვათა შორის მუშაობა არ გამოგვადგება.

მშრომელთა მასები აქტიურად უნდა იქნენ ჩაბმულნი რემედასის ყოველდღიურ მოღვაწეობაში.

გავაჩაღოთ თვითკრიტიკა, ხელი შეუწყოთ წარსულში დაშვებული ნაკლულევანებათა გამოსწორებას და წინ გავსწიოთ.

დ. ხურცილავა.

*) ამ ნაკლს ისევ საქ. რემედასის ცეკამ მიაქცია ყურადღება და ის დროზე გამოსწორებული იქნა.

დ. ხ.

მ ი ს ა ბ ა ძ ი მ ა გ ა ლ ი თ ი

(ქ. ფოთი)

რემედასის მნიშვნელობა, მისი მიზანი და ამოცანები ნათელია მშრომელი მასისთვის. ამის აშკარა დამამტკიცებელია ის გარემოება, რომ ჩვენს ორგანიზაციაში გაერთიანებულია ჩვენი ქვეყნის მშრომელი მოსახლეობა. ეს უკანასკნელი თავის ყოველდღიურ საქმიანობასთან ერთად არ ივიწყებს უცხოეთში მებრძოლთ, კლასიურ ძმებს, რომლებიც პირისპირ ებმებიან ბურჟუაზიას.

1929 წ. ნოემბრის 25, ქ. ბერლინში დაბრუნდა საბჭოთა კავშირში, ოქტომბრის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებათ გამოგზავნილი მუშათა დელეგაცია. ბერლინის პროლეტარიატმა დაბრუნებულ მუშებს გაუმართა საზეიმო შეხვედრა.

ქალაქ ფოთის რემედასის კომიტეტმა შესძლო რემედასის საკმაოდ მომზადებული აქტივთა კადრების ჩამოყალიბება. რემედასის კომიტეტის მოღვაწეობა იმდენად ნაყოფიერია, რომ დღეს ფოთის მშრომელთა დიდი უმრავლესობა აქტიურად ჩაბმულია რემედასის რიგებში. მშრომელთა ფენებში სწარმოებს ინტერნაციონალურ-აღმზრდელობითი ხასიათის მუშაობა.

გასული წლის დეკემბრის 7, რემედასის ფოთის კომიტეტის მიერ მოწვეულ იქნა რემედასის აქტივის, კომუჯრედების, კომკავშირის უჯრედების პ/მგ. მდივნების, მასწავლებლებისა და დელეგატ-ქალთა გაერთიანებული კრება, სადაც რემედასის ამოცანების შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ფოთის კომპარტიის კომიტეტის პ/მგ. მდივანმა ამხ. ჭ ი ჭ ი კ ო ი მ ე დ ა ძ ე მ.

მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა უცხოეთის საპყრობილეებში მოქცეულ პოლიტ-პატიმრების, სასარგებლოდ გაღებული იქნეს ყოველთვიურად ერთი საათის ხელფასი ყველა მუშა მოსამსახურეების მიერ. კრებამ დაადგინა აიღოს შეფობა ბულგარეთის რომელიმე საპატიმროზე და შეგროვილი თანხა მოახმაროს იქ მოქცეულ პატიმარებსა და მათი ოჯახის წევრთა მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამავე კრებაზე დელეგატ ქალებმა გამოიტანეს დადგენილება: რემედასის კომიტეტში შეიტანონ ყოველთვიურათ 25 კაპ. აქვე ზოგიერთმა დელეგატ-ქალებმა რემედასს შესწირეს სხვადასხვა ძვირფასი ნივთები.

რემედასს უდიდესი სიმპატიით ეპყრობა დიდი და პატარა. მაგალითისთვის საკმარისია დავასახელოთ შემდეგი: 4 წ. ვ ი ქ ტ ო რ ბ ი გ ვ ა ვ ა ს ა გ ა ნ ორგანიზაციამ შემოწირულების სახით მიიღო 5 მანეთიანი ოქროს ფული. დაზგის მუშამ — ს ტ უ რ უ ა მ შემოწირულების სახით შემოიტანა მთელი თვის ჯამაგირი — 140 მანეთი და ამავე მიზნით გამოიწვია დანარჩენი ამხანაგები.

კრებამ მიიღო შესაფერისი რეზოლიუცია, რის შემდეგ წარმოდგენილი იქნა ერთ-მოქმედებიანი პიესა „რ ე მ ე დ ა ს“.

მეორე დღეს გაიმართა ფეხბურთელთა შეჯიბრი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს რემედასის ფოთის კომტეტისა ფეხბურთელებმა და ქუთაისის ფეხბურთელთა გუნდებმა. შეჯიბრი დამთავრდა ფოთელების გამარჯვებით.

უნდა ითქვას, რომ რემედასის ფოთის კომიტეტი ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს მშრომელთა ინტერნაციონალურად აღზრდის საქმეში.

რემედასს ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი და ჩვენ გვჯერა ამ უდიდესი ამოცანების განხორციელებაში ფოთის მშრომელი მოსახლეობა პირველ ადგილს დაიჭერს.

ვ. ადამია.

რ ე მ ე დ ა ს ი ს მ უ შ ა ო ბ ა ს უ ს ტ ი ა

(წერილი აჭარისტანიდან)

ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ რემედასი უდიდესი ინტერნაციონალური აღმზრდელობითი მუშაობას აწარმოებს მშრომელ მასაში. რემედასის ორგანიზაციებს ამ მხრივ დიდი მიღწევები აქვს საერთოდ, კერძოდ კი საქართველოში.

სამწუხაროდ არ შეიძლება ითქვას, რომ ყველგან ეს ასე ხდებოდეს და ნაკლს არ ჰქონდეს ადგილი.

ჩვენ გვინდა შევეხოთ რემედასის მუშაობას აჭარისტანში. აქ საქმე ვერ არის რიგიანად დაყენებული. აჭარისტანში რემედასის მუშაობას ბევრი ნაკლი აქვს, მაგ-

რამ ყველა ამათი აღნუსხვა ჩვენ შორს წაგვიყვანს. ამიტომ შევეხები მთავარს:

მშრომელ მასაში არ სწარმოებს ფართე ახსნა-განმარტებითი მუშაობა რემედასის იდეების პოპულიარიზაციის მიზნით.

აჭარისტანში არის რემედასის ისეთი უჯრედები, რომლებმაც დღემდის არ იციან რემედასის ძირითადი ამოცანები. უჯრედის ზოგიერთ წევრებს არავითარი წარმოდგენა არა აქვთ ორგანიზაციაზე.

უჯრედი კმაყოფილდება მხოლოდ საწევრო ანარიცხების აკრეფით. უჯრედთა შორის არ არსებობს არავითარი კავშირი.

ქალაქის ორგანიზაციები არავითარ ხელმძღვანელობას არ უწევენ სოფლის უჯრედებს. აქვე უნდა მივუთითო რემედასის საოლქო კომიტეტს და მოვაგონო, რომ მარტო ქალაქის უჯრედების მოვლა და მათი ხელმძღვანელობა არაა საკმარისი. სოფლისა და ქალაქის გარეუბნების უჯრედები უპატრონოდ მიტოვებულია. ამას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და ეს ნაკლი დროზე უნდა იქნეს აღმოფხვრილი.

ზედმეტია ლაპარაკი ქობულეთის, ქედისა და ხულოს ორგანიზაციებზე ხელმძღვანელობის შესახებ. რემედასის საოლქო კომიტეტი უგზავნის ადგილებს ცირკულიარებს მაგრამ ძალზე დაგვიანებით, ისიც რუსულათ, სოფლებში კი არავინაა მისი გადამთარგმნელი და ამრიგად მუშაობა ფერხდება.

თუ რამდენად უყურადღებობას იჩენს საოლქო კომიტეტი ადგილებისადმი სჩანს იქიდან, რომ 1927 წ. აჭარისტანის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში ჩამოყალიბდა რემედასის უჯრედი. მიუხედავათ ჩვენი არა ერთხელ მოთხოვნისა ოლქკომმა დღემდის ვერ გამოგზავნა ერთი კაცი, რომელიც მოხსენებას გააკეთებდა რემედასის იდეების შესახებ.



ნიუ-იორკის ქუჩებში დაპატიმრებულ კომუნისტებს პოლიციელები სვამენ სპეციალურ ავტომობილში.

ოლქკომს მოვაგონებთ კიდევ, რომ ასეთი ხელმძღვანელობა არ ვარგა, საჭიროა ეს შეიცვალოს, მეტი ყურადღება მიექცეს ადგილებს. გავსცილდეთ შუა ქალაქს, ვნახოთ აჭარისტანის სოფლის პირობები და მისი მიხედვით ხელი შეუწყო იმ უდიდესი ორგანიზაციის განმტკიცებას, რომელიც მიზნად ისახავს მთელი ქვეყნის დევნილ რევოლიუციონერთა მატერიალურად და მორალურად დახმარებას.

დურსუნ მჟავანაძე.

დავეხმაროთ კაპიტალისტურ ქვეყნებში დაპატიმრებულებს

დღევანდელი კაპიტალისტური მსოფლიოს წარმომადგენლები სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძვიან რევოლიუციონურ მუშათა კლასს. ისინი არ ერიდებიან არავითარ საზიზღარ ზომებს გამანთავისუფლებელი მოძრაობის ჩასაქრობად. ამ მოძრაობის ხელმძღვანელებს და მის მონაწილეებს აპატიმრებენ. სდევნიან და ჟლეტენ განუკითხავათ.

საბჭოთა კავშირის აღმოცენების პირველ დღიდანვე მატულობს კაპიტალის პატიმართა რაოდენობა. ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ აამოქმედა ყველა ქვეყნის ტვირთ-მძიმე და მაშვრალნი, რომლებიც საშინელ ექსპლოატაციას განიცდიდენ და დღესაც განიცდიან კაპიტალისტურ წყობილების პირობებში. მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის გაძლიერებამ გამოიწვია ყველა ანტირევოლიუციონური ძალების შეკავშირება: კაპიტალისტები ცდილობენ მთლიანი ფრონტის შექმნას და მათ ნაწილობრივად კიდეც მიაღწიეს ამას. ისინი აშკარად, თუ ფარულად თავს ესხმიან მუშებს, რევოლიუციონურად განწყობილ გლეხებს და კოლიონიალურ ერებს.

საბჭოთა კავშირის ძლევა-მოსილმა პროლეტარიატმა პირველმა წამოისროლა ლოზუნგი: „დ ა ვ ე ხ მ ა რ ო თ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ყ ვ ე ე ბ ს". მანვე საფუძველი ჩაუყარა რემედასის ორგანიზაციას, რომლის სექციებით და მოძმე ორგანიზაციებით მოფენილია დღეს დედამიწის ყოველი კუთხე.

როგორც ვიცით ეს ორგანიზაცია ექვსი წელიწადია, ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს და როგორც მატერიალურად ისე მორალურად ეხმარება საერთაშორისო კაპიტალის პატიმრებს.

რემედასის ორგანიზაციებში გაერთიანებული მშრომელთა მოვალეობაა ხელი შეუწყოს მშრომელ მასაში ინტერნაციონალურ ერთსულოვნების განმტკიცებას საზოგადოების სხვადასხვა ფენებში. ჩვენ კი წითელ ყაზარმებში მყოფნი, მუშებისა და გლეხების შვილებს გვევალება

საერთაშორისო

ბულგარეთი. „52"-ის პროცესი. სოფიაში უკანასკნელად ჩატარებულ „52"-ის პროცესზე დასრულდა ბრალდებულთა დაკითხვა. ბრალდებული ჩაკოვი, შეშლილთა სახლიდან, პირდაპირ სასამართლოში მოიყვანეს. მას ხელფეხზე ხუნდები ჰქონდა გაყრილი. ჩაკოვი შეშლილთა სახლში მოათავსეს მას შემდეგ, რაც მან ცემის დროს დაჰკარგა ნერვიული წონასწორობა.

ბრალდებული კომუნისტები სასამართლოში გამოვიდენ სიტყვებით — ბულგარეთში მძივანვარე თეთრი ტერორის საწინააღმდეგოთ. ყველა ბრალდებულებმა უარჰყვეს წინად გაცემული ჩვენებები, რომელიც მათ გასცეს წინასწარ გამოძიების დროს მიყენებულ ფიზიკურ შეურაცყოფის დროს. პროკურორმა მოითხოვა სასტიკი სასჯელი ყველა ბრალდებულებისათვის, რომელიც საერთო ჯამით უდრის 712 წ. დაპატიმრებას.

აღნიშნული პროცესის წინააღმდეგ მასიური პროტესტები მოედო მთელს ბულგარეთს. ბულგარეთის ყველა საპყრობილებში მოქცეულმა პოლიტ-პატიმრებმა „52"-ის პროცესის საპროტესტოდ და ბრალდებულებისადმი თანაგრძნობის გამოცხადების მიზნით, გამოაცხადეს სიმშილობა. ხელისუფლება ცდილობს აღკვეთოს ეს მასიური პროტესტები. ამ მიზნით ის ახდენს „შემჩნეულ" პირთა მასიურ დაპატიმრებას. ამ საქციელს ისინი ამართლებენ იმით, რომ თითქოს ბულგარეთში „აღმოჩნდა" ახალი არალეგალური კომუნისტური ორგანიზაციები.

ლატვია. ახალი საკატორღო განაჩენები. 1929 წ. ნოემბრის 23, რიგის სასამართლომ ამხ. ედმუნდ ცელტმანსა და იან პუტნინს მიუსაჯა 3 წ. საკატორღო მუშაობა კომუნისტური ლიტერატურის გავრცელებისთვის.

სასამართლოს პალატამ დაამტკიცა ლიბავისა და რიგის სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენები რევოლიუციონერ მუშების საქმის გამო.

ლიბავაში საკატორღო მუშაობა მიესაჯა შემდეგ პირებს: 19 წ. ალბერტ ზებერინგს—3 წელი. 20 წ. კუნს, 18 —ივანე იგნატს, და 19 წ.— ფრიც არნის 2— 2 წელი თვითეულს, ხოლო 23 წ. — პეტრე შაკალს — 3 წელი.

რიგაში 3—3 წ. კატორღა მიუსაჯეს ლატვიის უნივერსიტეტის სტუდენტებს 21 წლის — ბორის ხენკელს, და 23 წ. — ერნსტ დებლაუნს.

როგორც ლიბავის, ისე რიგის სასამართლოს მიერ გასამართლებულებს ბრალი ედებოდათ კომუნისტური პროპაგანდასა და არალეგალურ ლიტერალურის გავრცელებაში.

საფრანგეთი. დევნის გაძლიერება. რემედასის საფრანგეთის სექციის ცნობის თანახმად 1929 წ. ოქტომბერში პოლიტიკურების დევნამ უმწვერვალეს წერტილს მიაღწია. მთელ რიგ პოლიტიკურ პროცესების დროს 72 ბრალდებულს მიესაჯა 84 წ. საპატიმრო და 390000 ფრანკი ჯარიმა.

პოლონეთი. კომკავშირელთა დევნა ვარშავაში. 1929 წ. ნოემბრის 20, აკის 10 წ. თავზე, მიუხედავად ვარშავის პოლიციის მიერ მიღებული მკაცრი გამაფრთხილებელი ზომებისა ქალაქში მოეწყო კომკავშირელთა უდიდესი დემონსტრაცია. პოლიციის აგენტებმა წითელი დროშების წართმევის მიზნით პირდაპირ სროლა აუტეხეს დემონსტრანტებს. მოკლულია ერთი მუშა, დაიჭრა 4.

დემონსტრაციის დარბევის შემდეგ მუშურ უბნებში ჩატარებული იქნა ჩხრეკა და მასიური დაპატიმრებანი.

საბჭოთა კავშირთან ერთად მედგრად დავიცვათ საერთაშორისო მუშათა კლასის საარსებო ინტერესები.

ჩვენ წითელ არმიელებს ერთი წუთითაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი უდიდესი კავშირის წითელი საზღვრების იქით, იქ სადაც ჯერ კიდევ მძვინვარებს შავი რეაქცია ასობით და ათასობით ეცემიან თავისუფლებისათვის მებრძოლი ამხანაგები. ისინი საჭიროებენ ჩვენს თანაგრძნობას და ძმურ დახმარებას. ჩვენ მუდამ მზად უნდა ვიყოთ მათი დასახმარებლად.

რემედასი არის ერთად-ერთი ორგანიზაცია, რომელიც ზრუნავს კაპიტალის მსხვერპლთა მდგომარეობის შემსუბუქებაზე, ის ცდილობს შექმნას საერთაშორისო ოქტომბრის წითელი ზურგი, ამიტომ ჩვენც — წითელ არმიელები ვალდებულნი ვართ ყოველმხრივად ხელი შევუწყოთ ამ ორგანიზაციის ნაყოფიერ მუშაობას, როგორც ყაზარმაში, ისე ფაბრიკა-ქარხნებსა და სოფლებში.

სადაც არ უდა ვიყოთ ჩვენ: ყაზარმაში, მეცადინეობაზე. საზოგადოებრივ დავალებების ასასრულებლად, თუ მინდვრად სამუშაოდ — არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საერთაშორისო პროლეტარიატი დღეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებს კაპიტალისტურ წყობილების დასამხობად.

ამ ბრძოლის წარმოების დროს უამრავი ამხანაგები ეცემიან კლასობრივი მტრის მახვილით გულგანგმირულნი, ასობით და ათასობით იტანჯებიან პოლიტ-პატიმრები ციხე-კატორგებში, ხოლო მათი ოჯახის წევრები კი ულუკმაპუროდ არიან დარჩენილნი.

ჩვენ უნდა მივხედოთ მათ.

ყველანი რემედასის რიგებისაკენ!

წითელ-არმიელი: **გ. ოთარიშვილი**

შეჯიბრი რემედასის ორგანიზაციაში

(მაღლაკი, ქუთაისის ოლქი)

რემედასის ორგანიზაციის მუშაობის უფრო მეტი ნაყოფიერების მიზნით და მშრომელ მოსახლეობაში ინტერნაციონალური აღმზრდელობის მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად, რემედასის მაღლაკის სათემო კომიტეტი სოციალისტურ შეჯიბრში იწვევს რემედასის ვანის სათემო კომიტეტს.

შეჯიბრების პირობათ მიღებულია შემდეგი:

1. რემედასის ორგანიზაციებში ჩაბმულ იქნას ჩვენი თემის სხვა ორგანიზაციების წევრები სრული 100%-ით.

2. მასაში რემედასის ლიტერატურის, კერძოთ კი — ჟურნალ რემედასის მაქსიმალურად გავრცელება.

3. მოსახლეობის 40% ჩაბმა რემედასის რიგებში.

4. რემედასის უჯრედებში ინტერნაციონალურად აღზდის საქმის მკვიდრ ნიადაგზე დაყენება.

5. მიღებულ ქნას ყოველგვარი ზომები, რათა არც ერთი შავსიელი ად ანტისაბჭოთა ელემენტი არ მოხვდეს რემედასის რიგებში წევრად.

6. მოხთეს სრული ლიკვიდაცია ყოველგვარი დავალიანებათა, როგორც ქვემდგომ, ისე ზემდგომ ორგანიზაციებში

7. გაუმჯობესებული იქნეს ორგანიზაციის ფინანსიური ლონისძიება ნებაყოფლობით შემოწირულებებითა და ფასიანი საღამო-წარმოდგენების მოწყობით თემის მასშტაბით.

8. რემედასის რიგებში ჩაბმულ იქნეს მშრომელი ქალები.

შეჯიბრის მსვლელობა ფართედ უნდა იქნეს გაშუქებული, როგორც ადგილობრივ კედლის გაზეთებში ისე ჟურნალ „რემედასში".

შეჯიბრის პირობების შედეგების შემოწმება ხდებოდეს 6 თვეში ერთხელ, რაც მიენდოს რემედასის ქუთაისის საოლქო კომიტეტს.

შეჯიბრის კომისია.

СПУТНИК МОПРОВЦА

„Спутник Мопровца" необходимое пособие для каждой ячейки, для каждого активиста.

„Спутник Мопровца" помещает регулярно цифровые сводки о белом терроре и деятельности МОПР'а (особое внимание обращается на освещение деятельности МОПР'а за рубежом.

„Спутник Мопровца" освещает работу местных организаций МОПР.

„Спутник Мопровца" помещает обработанный материал для докладчиков и агитаторов МОПР'а тезисы и лозунги к кампаниям и т. д.

„Спутник Мопровца" освещает работу руководящих органов ЦК МОПР — пленумов ЦК, президиум а секретариата.

УСЛОВИЯ ПОДПИСКИ:

На 12 месяцев	— 2 р. —	На 3 месяца	— 55 к.
„ 6 „	— 1 р. 55 к.	„ 1 „	— 20 к.
„ 6 „	— 1 р. 05 к.	Цена отдельного №	— 10 к.

За границу накидка на 25 проц.

Организации МОПР, производящие подписку непосредственно от Издательства, удерживают скидку в размере 10 проц. с подписной платы. Скидка по годовой подписке на „ПУТЬ МОПР'а" в рассрочку удерживается каждый раз с той суммы, которая переводится в Изд-во в предоставленные сроки.

Подписка принимается только с 1 числа каждого месяца.

Заказы принимаются к исполнению после получения подписной платы.

Подписную плату в сумме до 3 рублей можно присылать почтовыми марками (мелкого достоинства).

Для своевременной высылки изданий заказы и подписная плата должны поступать в Издательство не позднее 20 числа предшествующего подписному месяца.

При возобновлении подписки и всякого рода справках необходимо ссылаться на номер квитанцию или на номер, имеющийся на адресе-бандероли, либо посылать самый адресок.

Подписная плата направляется почтовым переводом в адреь Издательства

Москва, 9, ул Огарева, д. 4 тел. отд. Распространения 3—08—47.

გამომცემელი რემედასის საქ. ცენტრ. კომიტეტი. **რედაქტორი: შამშე ლეჟავა.**

ტფილისი, ს. ს. მ. ფ.ს. პოლიგრ.-ტრ. 1-ლი სტამბა, პლეხ. გამზირი № 91, მთავარლიტი № 26. შეკვეთა № 616. ტირაჟი 7000.

ფასი 20 კაპ.

გამოიწერეთ და იკითხეთ

რემედასის საქართველოს ცეკას და ტფილისის საოლქო კომიტეტის
ყოველთვიური მასიური ორგანო ჟურნალ

1930 **რემედასი** 1930

გამოცემის წელი მეშვიდე

ჟურნალში უმთავრესი ყურადღება ექცევა საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობას, თეთრი ტერორისა და ფაშიზმის თარეშს, როგორც დასავლეთ-ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოებში, ისე აღმოსავლეთის კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში; პატიმარ რევოლიუციონერების მდგომარეობას კაპიტალის საჰეროობილლებში; რემედასის, როგორც **საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ორგანიზაციების, ისე უცხოეთის სექციების მოღვაწეობას.**

ფართე ადგილი ეთმობა აგრეთვე მხატვრულ ლიტერატურას და მხატვრობას. ჟურნალში მოთავსებული იქნება მდიდარი ილიუსტრაცია, როგორც საერთაშორისო მუშათა კლასის და რევოლიუციონური გლეხობის კლასობრივი ბრძოლების ეპიზოდებიდან, ისე ყველა ქვეყნის რემედასის სექციების მუშაობიდან.

ხელის მოწერის პირობები

ერთი თვით	20 კაპ.	ექვსი თვით	1 მ. 15 კაპ.
სამი თვით	60 „	ცხრა თვით	1 „ 70 „
		ერთი წლით	2 „ 20 „

ხელისმოწერა მიიღება მხოლოდ ყოველი თვის პირველ რიცხვიდან

ყოველი აქტიური რემედასელი, უჯრედი, ჭოხ-სამკითხველო, მუშა-მოსამსახურე, მშრომელი გლეხი და დიასახლისი უნდა გახდეს ჩვენი ჟურნალის ხელისმომწერი.

ჟურნალ „რემედას“-ზე ხელისმოწერით ჩვენ ვაღვივებთ მშრომელ მასაში ინტერნაციონალურ ერთსულოვნებას.

რემედასის უჯრედებო და გეჯდვითი სიტყვის ორგანიზატორებო იზრუნეთ თქვენი ჟურნალის გავრცელებაზე

ჟურნალზე ხელის მოწერა იწარმოებს, როგორც რემედასის საქართველოს ყველა საოლქო, სამაზრო, სარაიონო კომიტეტებში და უჯრედებში, ისე ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებებში.

1930 წ. იანვრის პირველიდან ჟურნალ „რემედას“ გადაეგზავნება მხოლოდ ხელის მოწერლებს.

რემედასის საქ. ცენტრალურ კომიტეტის გამომცემლობა.